

# დაგეგმილი ცვლილებები გეოტოხე კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტში

დისტანციური შეხვედრა



ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ფედერაციული საბჭოს საშახური



# კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციები

განყოფილება 12 - საკუთარ კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციები  
მესაკუთრებთან

## გამოსყიდული საკუთარი აქციების აღრიცხვა

- 12.8 გამოსყიდული საკუთარი აქცია არის საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი, რომელიც საწარმომ გამოუშვა და შემდგომში თვითონვე შეისყიდა. საწარმომ გამოსყიდულ საკუთარ აქციებში გადახდილი ანაზღაურების საიმედო შეფასება უნდა ასახოს, როგორც ~~მოკლევადიან აქტივად კლასიფიცირებული საინვესტიციო აქტივი~~ გამოსყიდული საკუთარი აქციები. საწარმომ ~~შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში~~ არ უნდა აღიაროს საკუთარი აქციების გამოსყიდვიდან, გამოსყიდული აქციების გასხვისებიდან, ან გაუქმებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი. წებისმიერი სხვაობა გამოსყიდული საკუთარი აქციების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის უნდა აისახოს საემისიო კაპიტალის მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

# კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციები

განყოფილება 12 - საკუთარ კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციები  
მესაკუთრებთან

## გამოსყიდული საკუთარი აქციების აღრიცხვა

### მაგალითი

2017 წლის 1 აპრილს სააქაციო საზოგადოება A – მ გამოუშვა 1,000 ცალი აქცია, 1 ცალი აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 ლარი.

საწამო B –მ აქციის გამოშვებისთანავე შეიძინა 400 ცალი აქცია ნომინალური ღირებულებით. ე.ი სს A –ს გადაუხადა 400 ლარი.

საწამო C –მ აქციის გამოშვებისთანავე შეიძინა 600 ცალი აქცია ნომინალური ღირებულებით. ე.ი სს A –ს გადაუხადა 600 ლარი.

სს A –ს გატარებები: თარიღი: 01/04/2017

- DEBIT - ფული- 1,000 ლარი
- CREDIT - ჩვეულებრივი აქციები – 400 ლარი ( *აქციები რომელიც საწამო B –მ შეიძინა*)
- CREDIT - ჩვეულებრივი აქციები – 600 ლარი ( *აქციები რომელიც სხვა საწამო C –მ შეიძინა*)

2020 წლის 29 ოქტომბერს სს A – მ საწარმო B სგან გამოისყიდა 400 ცალი აქცია, თითოეული 3 ლარად.  
თარიღი: 29/10/2020

- DEBIT - გამოსყიდული საკუთარი აქციები- 400 ლარი(400 აქცია\*1 ლარზე)
- DEBIT - საემისიო კაპიტალი 800 ლარი(400 აქცია\*2 ლარზე)
- CREDIT - ფული– 1.200 ლარი;

# ბიოლოგიური აქტივები

## განყოფილება 8 - ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში

8.5 (ბ) შესაძლებელია ბიოლოგიური აქტივის თვითღირებულების დირებულების საიმედოდ შეფასება;

8.7 საწარმომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივი უნდა შეაფასოს თვითღირებულების მოდელის მეშვეობით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო დაადგენს, რომ თვითღირებულების მოდელის გამოყენების დანახარჯი აღემატება გადაჭასების-გასაყიდი ფასის მოდელის გამოყენების დანახარჯს. ასეთ ვითარებაში, მან გადაჭასების-გასაყიდი ფასის მოდელი უნდა გამოიყენოს. აღნიშნული დანახარჯის გაანგარიშება ხდება ცალ-ცალკე თითოეული ჯგუფის ბიოლოგიური აქტივებისთვის.

# ბიოლოგიური აქტივები

## განყოფილება 8 - ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში

### მაგალითი

- ცვლილება არის ტექნიკური ხასიათის. კომპანიას შეუძლია ბიოლოგიური აქტივის შეფასებისთვის აირჩოს როგორც თვითღირებულების ისე გა.საყიდი ფასის მეთოდი. ამიტომ, ნაცვლად თვითღირებულებისა ჩაიწერა –ღირებულება.

- კომპანიამ 2015 წელს შეიძინა 10 ჰა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი და გააშენა ატმის ( ჯიში: ყვითელი ხავერდა) ბაღი. 2019 წლის ანგარიშგებას წარდგენისათვის და სტანდარტზე გადასვლისათვის დასჭირდება აქტივის ღირებულების შეფასება.. იმავე რეგიონში სადაც 10 ჰა–ზე გაშენებული არის ყვითელი ხავერდა და 5 წლიანი ნარგავებინი ბაღია, ზუსტად ასეთი ბაღის გასაყიდი ფასის მოძიება ბაზარზე არ არის შესაძლებელი.

კომპანიას ასეთ დროს ბაღის ფასის დაგენისთვის ურჩევნია გამოიყენნოს თვითღირებულების მოდელი, ე.ი დაითვალოს გაშენებაზე გაწეული დანახარჯები. ანგარიშგებას წარდგენის პერიოდში ასახავს თვითღირებულების მოდელით. მაგრამ, თუ აქვს ფერმა და გეგმავს გოჭების მოშენებას, შემდეგში გაყიდვის მიზნით, თითოეული გოჭის გაზრდაზე გაწეული დანახარჯის შეფასება და თვითღირებულების დადგენა უფრო რთულია, კომპანიას დასჭირდება დამტებითი კადერების აყვანა რომ დაითვალოს სხვადასხვა ასკის გოჭის გაზრდაზე გაწეული დანახარჯები. კომპანიისთვის შესაძლოა უფრო ადვილი იყოს შეაფასოს გასაყიდი ფასი და ანგარიშგების წარდგენის პერიოდში ასახოს გასაყიდი ფასის მეთოდით.

# ბიოლოგიური აქტივები

## განყოფილება 8 - ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში

8.8 საწარმომ ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით უნდა შეაფასოს, ხოლო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის – თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, მე-9 განყოფილების - „არაფინანსური აქტივების გაუფასურება“ - შესაბამისად.

~~8.9 — თუ გადაფასების შედეგად ბიოლოგიური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, აღნიშნული შემცირება ხარჯად უნდა აღიარდეს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში. როდესაც მოცემულ ბიოლოგიურ აქტივთან დაკავშირებულია გადაფასების ნამეტის ნაშთი, პირველ რიგში მცირდება აღნიშნულ ნაშთი.~~

~~8.10 — ბიოლოგიური აქტივის გასვლისას გადაფასების ნამეტის ნაშთი საწარმომ უნდა გადაიტანოს გაუნაწილებელ მოგებაში.~~

# ბიოლოგიური აქტივები

## განყოფილება 8 - ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში

### მაგალითი

მაგალითებში ატმის ბალი გვექონდა, სადაც 10 ჰა გაშენებულია ყვითელი ხავერდას ჯიშის ატამი.

2015 წელს როცა გააშენა ბალი ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიამ აღრიცხა თვითღირებულების მოდელით.

2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლით კომპანია არიცხავდა ცვეთას და ანგარიშგებაში ასახავდა დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

2020 წელს პანდემიის გამო არ იყო შესაძლებელია ბალის სრულყოფილად მოვლა, მუშა ხელი დიდი ნაწილი იყო თვითიზოლაციაში. 2 მეტრიანი დისტანციის დასაცავად ვერ მოხერხდა სრული რაოდენობის მუშა ხელის და 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით დატვირთვა. ამას დაემატა გვალვა და ბალის 20% ხეების გახმა. ზარალი შეფასდა –2 000 ლარად.

კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს და ბალის გაუფასურების ზარალი უნდა ასახოს.

- **DEBIT** გაუფასურების ხარჯი - ბიოლოგიური აქტივი - **2,000 ლარი**
- **CREDIT** - ბიოლოგიური აქტივი - **2,000 ლარი;**



# ბიოლოგიური აქტივები

## განყოფილება 8 - ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში

### გადაფასების მოდელი-გასაყიდი ფასის მოდელი

8.138.11 საწარმოში თითოეული ბიოლოგიური აქტივი, თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის, მოცემული პერიოდის ცვეთის დარიცხვის შემდეგ, საიმედოდ უნდა შეაფასოს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით. საწარმოში თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისთვის, ბიოლოგიური აქტივი უნდა შეაფასოს გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯებით შემცირებული, საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით შეფასებული გასაყიდი ფასით და სხვაობა გაატაროს შემოსავლების, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში, როგორც „ცვლილებები ბიოლოგიური აქტივის საიმედოდ შეფასებულ ღირებულებაში“.

8.148.12 როდესაც გადაფასების შედეგად ბიოლოგიური აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, აღნიშნული ზრდა უშუალოდ უნდა აღიარდეს საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში ცალკე კატეგორიაში, ქვესათაურით „გადაფასების რეზერვი“. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივის ბიოლოგიურ გარდაქმნასთან დაკავშირებული ყველა გაწეული დანახარჯი უნდა იქნეს აღიარებული როგორც ხარჯი შემოსავლების, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

# ბიოლოგიური აქტივები

## განყოფილება 8 - ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში

### მაგალითი

მაგალითებში გოჭების ფერმაზე ვისაუბრეთ. კომპანიამ 2019 წელს გასაყიდი ფასის მეთოდი აირჩია. მაგრამ გოჭების გაყიდვის ნაცვლად გადაწყვიტა კიდევ 1 წელი მოეწყო და მომდევო წელს გოჭის ნაცვლად ბურვაკი გაეყიდა. გოჭის გასაყიდი ფასად 2019 წელს აღიარებული ქონდა 100 ლარი. 2020 წელს დაადგინა რომ გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯი თითო ბურვაკზე აქვს 10 ლარი, ხოლო გაყიდვის ფასი კი არის 300 ლარი. ამ ერთი წლის განმავლობაში მათ მოვალზე ქონდა შემდეგი დანახარჯები;

#### 1 ცალი გოჭის გაზრდა:

- საკვები – 50 ლარი,
- მოვლაზე შრომის დანახარჯი – 50 ლარი,
- სხვა დანახარჯები – 10 ლარი (წყალი, ელ, ენეგია, ფერმის გათბობის დანახარჯი და სხვა)

#### ეს დანახარჯები უნდა ასახოს მიმდინარე პერიოდის ხარჯად; კომპანიის გატარებები:

- DEBIT - საკვები ხარჯი 50 ლარი
- CREDIT - საკვები მარაგი - 50 ლარი;
- DEBIT - მოვლის შრომის ხარჯი 50 ლარი
- CREDIT - ფული 50 ლარი; ( მოიცავს საგადასახადო გადასახადს და საპენსიო შენატანებს)
- DEBIT - კომუნალური ხარჯი 50 ლარი
- CREDIT - ფული - 10 ლარი;

*შენიშვნა: მაგალითში ხარჯების გატარებები გამარტივებულია: კრედიტში ჯერ უნდა აღიარდეს ვალდებულება და შემდეგ გატარდეს ვალდებულებიდან ფულით გადახდა.*

- DEBIT - ხარჯი – გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯები 10 ლარი
- CREDIT - ბიოლოგიური აქტივი - 10 ლარი;

100 ლარად შეფასებული აქტივი გახდა 90 (100 ლარს -10 ლ გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯები ),**გასაყიდი ფასით შეფასება:**

- DEBIT - ბიოლოგიური აქტივი- 210 ლარი (90 ლარიდან შეფასდა 300 ლარად)
- CREDIT – შემოსავლი ბიოლოგიური აქტივის შეფასებიდან – 210 ლარი;

# ბიოლოგიური აქტივები

## განყოფილება 8 - ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში

### სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება

**8.158.13** საწარმომ ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეაფასოს ნაყოფის მიღების მომენტში, შეფასებული გასაყიდი ფასით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. ზემოაღნიშნული შეფასებით მიღებული სიდიდე წარმოადგენს თვითღირებულებას იმ თარიღისთვის, როდესაც საწარმო იწყებს წინამდებარე სტანდარტის მე-6 განყოფილების - „მარაგები“- გამოყენებას. ზემოაღნიშნული შეფასებით მიღებული სიდიდე უნდა აღიარდეს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავალი.

# ბიოლოგიური აქტივები

## განყოფილება მ - ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში

### მაგალითი

ისევ 10 ჰა გაშენებულია ყვითელი ხავერდას ჯიშის ატამის ბალი განვიხილოთ.

კომპანიამ 2020 წლის ივლისის თვიდან დაიწყო ატმის კრეფა. კომპანიამ ივლისის თვეში უნდა შეაფასოს რამდენია გასაყიდი ფასი და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ატმის თვითღირებულება განისაზღვრება გასაყიდი ფასისა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების სხვაობით.

#### 2020 წლის ივლისში:

- 1 კილო ატმის გასაყიდი ფასი – 2 ლარი;
- დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები –0,50 ლარი.

➤ DEBIT - ყვითელი ხავერდას ჯიშის ატამი –1,50 ლარი

➤ CREDIT – შემოსავლი ყვითელი ხავერდას ჯიშის ატამი – 1,5 ლარი;